ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი

ეს წესი განსაზღვრავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების პირობებს, დახმარების მიმღებ პირთა (შემდგომში - ბენეფიციარი) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახითგასაცემი თანხის ოდენობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიროეიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარებისთვის.

მუხლი 1. შეუქცევადი დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები).

1. მედიკამენტებით უზრუნველყოფა, კალენდარული წლის განმავლობაში, თითოეულ ბენეფიციარზე, არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარისა, გაეწევათ ბენეფიციარებს შემდეგი ქრონიკილი დავადებების სამკურნალოდ:

ა. ეპილეფსია;

ბ. პარკინსონი;

გ. ბრონქიალური ასთმა;

დ.ფილტვის ქრონიკული ობსტრუქცია;

ე. ონკოლოგიური დაავადებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;

ე. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა);

ვ. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების ყოველთვიური მატერიალური (ფულადი) დახმარებები.

1. ყოველთვიური მატერიალური (მუნიციპალური პენსია) დახმარება კალენდარული წლის განმავლობაში გაეწევათ შემდეგი კატეგორიის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარებს:

ა. 18 წელზე მეტი ასაკის მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს - 100 (ასი) ლარის ოდენობით;

ბ. დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს - 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ. დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერან ბენეფიციარებს - 100 (ასი) ლარის ოდენობით;

დ. ყრუ მუნჯებს - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ე. 18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს, ვინც ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებს მუდმივ მომვლელს - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ვ. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს (18 წლამდე), რომლებიც საჭიროებენ მომვლელს - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ზ. შშმ პირები, რომლებიც სარგებლობდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, რეიტენგრაციის პროგრამით - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

2. ამ მუხლით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;

ე. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა);

ვ. საექსპერტო-სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ;

ზ. დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა) და გ, ქვეპუქტით სარგებლობის შემთხვევაში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი;

თ. რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილება;

ი. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;

4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 3. სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭა 2019-2020წწ პერიოდში, ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა.

1. სოცაილურად დაუცველ ოჯახბეს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭა 2019-2020 წწ პერიოდში, ერთ წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად, დახმარება გაეწევათ თვეში - 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლი;

ე. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა), სადაც მითითებული იქნება რა საკვებს საჭიროებს ბავშვი;

ვ. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ზ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურების უზრუნველყოფა.

1. ლოგოპედის მომსახურეობის საფასური 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდა აუნაზღაურდებათ, შემდეგი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს:
ა. დაუნის სინდრომიან ბავშვებს,
ბ. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს;
გ. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს;
დ. სმენადაქვეითებულ ბავშვებს (IV ხარისხის სმენაჩლუნგობა);
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
ე. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა);
ვ. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;
ზ. საექსპერტო-სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 5. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, პროგრამიბით მოსარგებლე ბენეფიციარების (მუნიციპალირი პენსია) ყოველთვიური მატერიალური დახმარებები.

1. ყოველთვიური მატერიალური დახმარება,კალენდარული წლის განმავლობაში, გაეწევა შემდეგი კატეგორიის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, პროგრამით მოსარგებლე შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარებს:
ა. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, რეიტენგრაციის პროგრამით მოსარგებლე ბავშვებს (18 წლამდე) – 100 (ასი) ლარის ოდენობით;
ბ. მინდობით აღზრდის დასრულების შემდგომ განათლების მიზნით (18-დან 22 წლამდე) ბენეფიციარებს - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;
ე. რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილება;
ზ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 6. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

1. გათბობის სეზონის დასაწყისში ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შემდეგი კატეგორიის ოჯახებს:
ა. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პენსიონერებს;
ბ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) შშმ პირების ოჯახებს;
გ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებს;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლები („გ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);
ე. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
ვ. საექსპერტო-სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ („ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);
ზ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 7. ბინის ქირით უზრუნველყოფა.

1. ბინის ქირა აუნაზღაურდებათ (თითოეულ ოჯახს ყოველთვიურად, არაუმეტეს 100 (ასი) ლარი) შემდეგი კატეგორიის ოჯახებს;
ა. სოციალურად დაუცველ უსახლკარო - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ 2018-2019 წწ. პერიოდში;
ბ. „ოჯახშიძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეებისთვის (მსხვერპლი), რომლის უფლებები დაირღვა და რომელსაც სტატუსი განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა);

2. ამ მუხლით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;

ე. ქირავნობის ხელშეკრულება;

ვ. შემაკავებელი ორდერი („ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);

ზ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან („ა“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);

თ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად (ბენეფიციარის) ანგარიშზე;

4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 8. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა.

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, დ. აღმაშენებლის ქ. უ/ნ-ში და დაბა კაზრეთში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია 250კვ/სთ - ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი - გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ^3, ხოლო - ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ^3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით;

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, სიონის ჩიხი N1-ში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია სრულად - საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი - გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ^3, ხოლო - ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ^3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით;

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი ორგანიზაციის საბანკო ამგარიშზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 9. სტუდენტთა დახმარებები.

1. ყოველთვიური ფულადი დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ (2019 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე) შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ა. ობოლი და მარჩენალდაკარგული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

გ. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა და ქულა მიენიჭა 2019-2020წწ პერიოდში) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
დ. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
ე. სტუდენტები ოჯახებიდან სადაც არის ორი ან მეტი სტუდენტი და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - თითოეულს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
ვ. შშმ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უმაღლეს აკრედიტირებულ სასწავლებლებში - 100 (ასი) ლარი.
ზ. „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი“, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უმაღლეს აკრედიტირებულ სასწავლებლებში - 100 (ასი) ლარი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამი ან მეტი კატეგორიის მაონე სტუდენტები დაფინანსდებიან ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით (2019 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე);
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი („ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნტებით სარგებლობის შემთხვევაში);
ვ. ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომ ბენეფიციარი არის ნამდვილად სტუდენტი;
ზ. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი (ობოლო და მარჩენდაკარგული სტუდენტის კატეგორიის შემთხვევაში);
თ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან („გ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);
ი. საექსპერტო - - სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შეზღუდული შესაზლებლობის სტატუსის („ვ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);
კ.
ლ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
4. ამ წესის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ყოველთვიური წახალისების მისაღებად, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები სტუდენტებმა მერიაში უნდა წარადგინონ ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში. განცხადებისა და დოკუმენტების დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში, დახმარება გაიცემა განცხადებით მომართვის თარიღიდან;
5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად (ბენეფიციარის) ანგარიშზე;
6. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.
მუხლი 10. მკურნალობით უზრუნველყოფა (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები).
1. ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარებს კალენდარული წლის განმავლობაში სამედიცინო

დამხარება გაეწევათ:
ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობის უზრუნველსაყოფად - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
გ. მედიკამენტური მკურნალობისთვის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
2. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებ, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ქულა მიენიჭა 2019-2020წწ პერიოდში, დახმარება გაეწევათ:
ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობის უზრუნველსაყოფად - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
გ. მედიკამენტური მკურნალობისთვის - 200 (ორასი) ლარის ოდენობით;
3. შეზღუდული შესაძლებლობის მწონე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ:
ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობის უზრუნველსაყოფად - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
გ. მედიკამენტებით უზრუნველყოფა (შშმ ბავშვებს - 18 წლამდე) – 200 (ორასი) ლარის ოდენობით;
4. ლეიშმანიოზით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონალური, ამბულატორიული და დიასტიკნიკური მკურნალობისათვის დახმარება გაეწევათ - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
5. დედ-მამით ობოლ ბავშვებს (18 წლამდე) სტაციონალური, ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
6. ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონალური, ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
7. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
8. ომისა და სამხედრო ძალის ვეტერნანებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:
ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
9. იძულებით გადაადგილებულ პირებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:
ა. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისათვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
10. ფსორიაზით დაავადებულ სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭა 2019-2020 წწ პერიოდში და იძულებით გადაადგილებულ პირებს მედიკამენტებით მკურნალობისათვის დახმარება გაეწევათ - 700 (შიდასი) ლარის ოდენობით;
11. ფენილკეტონურიით და ჰიპერფენილალანემიით დაავადებულ ბავშვებს (სპეციალური საკვების შესაძენად) დახმარება გაეწევათ წელიწადში - 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით;
12. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით რეგისტრირებული იმ გაჭირვებული მოქალაქეების (ოჯახების), რომლებიც განცხადებით მომართვის პერიოდში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მათი მომართვის პერიოდში მძიმეა (ოჯახების) სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას და ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგრეთვე იმ მოქალაქეების, რომელზეც განცხადების განხილვის ეტაპისთვის ვრცელდება წესით დაწესებული შეზღუდვები (მაგ: ათვისებული

აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები), განცხადებას განიხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია გამონაკლისის სახით დახმარება გაეწიოს ამ პუნქტით განსაზღვრულ პირს, კალენდარული წლის გამავლობაში ერთჯერადად, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობის თანხით;

13. ამ მუხლის განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ბენეფიციარის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ. დაბადების მოწმობის ქსეროასლი;

ე. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV – 100/ა);

ვ. საექსპერტო - - სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შეზღუდული შესაზლებლობის სტატუსის;

ზ. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერნის მოწმობის ქსეროასლი;

თ. იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

ი. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

კ. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

14. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

15. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 11. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერნები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახები:

ა. მეორე მსოფლიო ომის ვეტერნები (9 მაისს) – 100 (ასი) ლარი;

ბ. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ოჯახები (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი (8 აგვისტოს)) - 500 (ხუთასი) ლარი;

გ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახები (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი(27 სექტებერს)) – 500 (ხუთასი) ლარი;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

გ. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი;
დ. საბრძოლო მოკვლევის ასლი/გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი („ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით სარგებლობისას);
ე. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.
მუხლი 12. ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარებით იზრუნველყოფა.
1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარებით უზრუნველყოფილნი იქნებიან (კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ) შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარები:
ა. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეირინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს - 100 (ასი) ლარის ოდენობით;
ბ. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 150 000-მდე და ქულა მიენიჭა 2019-2020წწ პერიოდში - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
გ. ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმული - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
დ. „ოჯახშიძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეებისთვის (მსხვერპლი), რომლის უფლებები დაირღვა და რომელსაც სტატუსი განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა) – 100 (ასი) ლარის ოდენობით;
ე. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირების დაცვით რეგისტრირებულ იმ გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც განცხადებით მომართვის მომენტში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მომართვის პერიოდში მძიმეა მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას, ერთჯერადი მატერიალური დახმარება არაუმეტეს 300 (სმასი) ლარის ოდენობით, გაეწევათ მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი „ერთჯერადი დახმარების მიღების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი სამუშაო ჯგუფის“ დასკვნის საფუძველზე, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლების ადგილზე შესწავლის აქტის გათვალისწინებით;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან („ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით სარგებლობის შემთხვევაში)
დ. შემაკავებელი ოდერის ქსეროასლი („დ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);

ე. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განმცხადებლის შემოსავლების შესახებ („ე“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში;
ვ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;
6. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 13. კანონით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარება, 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, გაეწევათ შერმდეგი კატეგორიის ბენეფიციარების სარიტუალო მომსახურეობისათვის.
ა. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერნებს;
ბ. იძულებით გადაადგილებულ პირებს;
გ. მემკვიდრის გარეშე დარჩენილ მარტოხელა ბენეფიციარებს;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა დახმარების მიზნით მერიაში უნდა წარადგინოს:
ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი („ა“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში);
დ. იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი („ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში)
ე. გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი;
ვ. ბანკში გახსნილი პირადი ანგარიში (განმცხადებლის);
5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე;
6. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 14. სტიქით დაზარალებული ოჯახების დახმარება.

1. 2019-2020 წლებში სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის-მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლიანობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი), ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევევის შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს 500 (ხუთასი) ლარამდე ზარალი აუნაზღაურდებათ სრულად, ხოლო 500 (ხუთასი) ლარის ზემოთ - მიყენებული ზიანის 70%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ლარისა. ხოლო სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის-მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა,

დიდთოვლობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი) შედეგად დაზარალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებათ სრულად, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის შესაბამისად.

3. სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, საქონლის სადგომზე, საქონლის საკვებსა (თივა) და საკვების შესანახ თავლაზე მიყენებული ზიანის აღსადგენად დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

4. მსხვილფეხა და მწვრილფეხა საქონელზე, აგრეთვე საქონლის სადგომზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში, დაზარფალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებათ მიყენებული ზიანის 70%-ის შემთხვევაში, მაგრამ არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო საქონლის საკვებზე (თივა), აგრეთვე საკვების (თივა) შესანახ თავლაზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში - არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულმა ბენეფიციარებმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა დახმარების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა. წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

გ. ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან;

დ. აუდიტის დასკვნა ზარალის ოდენობის შესახებ;

6. ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს აუდიტის დასკვნა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მიყენებული ზარალის ოდენობა აღემატება 500 (ხუთას) ლარს.

7. იმ შემთხვევაში, თუ სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობა არ აღემატება 500 (ხუთასი) ლარს, ზარალის ანაზღაურება , ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია მოხდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე.

8. ამ მუხლის პირველი ქუნქტის საფუძველზე ფულადი დახმარების გაცემის შემთხვევაში ბენეფიციარი იღებს ვალდებულებას მიზნობრივად გახარჯოს მუნიციპალიტეტისგან მიღებული ფულადი დახმარება, რის შესახებაც ბენეფიციარს, მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ან შესაბამისი უფლებამისილების მქონე პირს შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება.